საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება №299

თბილისი „26" 03 2012 წ

სკოლაში მოსწავლის ჩასარიცხად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე მართვის ავტომატიზებული საშუალებებით რეგისტრაციის ვადის განსაზღვრის შესახებ

,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 6 იანვრის №05/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის" მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ

1. დამტკიცდეს სკოლაში ჩასარიცხ მოსწავლის რეგისტრაციის ფორმა ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;

2. სკოლაში მოსწავლის ჩასარიცხად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე მართვის ავტომატიზებული საშუალებებით რეგისტრაციის ვადად განსაზღვროს:

ა) მოსწავლეებისათვის, რომელთა მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები მუშაობენ/ასწავლიან ან რომელთა დედმამიშვილ(ებ)ი სწავლობენ იმ სკოლაში, რომელშიც მოსწავლეს სურს ჩარიცხვა 2012 წლის 1 აპრილიდან 2012 წლის 15 აპრილამდე;

ბ) სხვა დანარჩენი მოსწავლეებისათვის 2012 წლის 15 აპრილიდან 2012 წლის 15 ივნისამდე;

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

დიმიტრი შაშკინი

სკოლაში ჩასარიცხ მოსწავლის რეგისტრაციის ფორმა

პირადი ინფორმაცია ბავშვზე		
1	პირადი ნომერი	
2	სახელი	
3	გვარი	
პირადი ინფორმაცია განმცხადებელზე		
1	სტატუსი	
2	პირადი ნომერი	
3	სახელი	
4	გვარი	
5	მობილური	
6	ელ-ფოსტა	
ინფორმაცია სკოლის შესახებ		
1	რეგიონი	
2	რაიონი	
3	სკოლა	